ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

ოქმი:**ო47. 47232473**
თარიღი:**04/09/2023**

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი N 9

დ. ჩოხატაური 24 აგვისტო, 2023 წელი.

თავმჯდომარეობდა: ვლადიმერ სიხარულიძე.

ესწრებოდნენ: გოჩა ჯიქია, კობა კალანდაძე, ქეთევან სიხარულიძე, ზაურ ზარბაზოია, თემური ხუხუნაიშვილი, ლაშა თოლორდავა, გოგი ბოლქვაძე, მარინე თავაძე, მამია ბარამიძე.

არ ესწრებოდა: აკაკი ყაჭეიშვილი, დიმიტრი კორიფაძე, ხათუნა ბერიშვილი,

მოწვეული:

მერაბ ბერძენიშვილი - მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი;

ზაზა ოსეფაიშვილი - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსი.

ლევანი ჩხიკვაძე - მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი.

სხდომის თავმჯდომორემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი შემდეგი ფორმულირებით:

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2023 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტის მოწონების შესახებ.

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის ანგარიში, მიმდინარე წლის ივლისის თვეში ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებებისა და მთლიანი სალდოს შესახებ.

3. ინფორმაცია, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის მიერ მიმდინარე წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ვლადიმერ სიხარულიძემ,გოჩა ჯიქიამ, აკაკი ყაჭეიშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 10 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2023 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტის მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: მერაბ ბერძენიშვილი

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის ანგარიში, მიმდინარე წლის ივლისის თვეში ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებებისა და მთლიანი სალდოს შესახებ.

მომხსენებელი: ზაზა ოსეფაიშვილი

3. ინფორმაცია, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის მიერ მიმდინარე წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: ლევანი ჩხიკვაძე

I საკითხი

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2023 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტის მოწონების შესახებ.

მოისმინეს :

1. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2023 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტის მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: მერაბ ბერძენიშვილი

აზრი გამოთქვა: გოგი ბოლქვაძემ აღნიშნა, როცა გადაწყდება რომელიმე პროექტის განხორცილება, იქნება ეს სოფლის პროექტით თუ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, უმჯობესია გაკეთდეს სრულყოფილად, თუ სახსრები არასაკმარისია,

შესაძლოა სოფლები შეთანხმდნენ და ერთ წელს ერთ სოფელში გაკეთდეს სრულყოფილად, ხოლო მომდევნო წელს - მეორეში. მისი აზრით, ბასილეთი-მთისპირის გზის რეაბილიტაციაზე მეტად სხვა შიდა გზების მოწესრიგებაა მნიშვნელოვანი. ამდენად, ის წარმოდგენილი ფორმით საკითხის მოწონების წინააღმდეგია.

ვლადიმერ სიხარულიძე: მოწონებული პროექტებიდან, რომლის ღირებულებაც შეადგენს 28 მილ. ლარს, ამ ეტაპზე შესრულებულია მხოლოდ 3 მილ. ლარის ღირებულების სამუშაოები. ამდენად, დასარეგულირებელია პროექტების მოწონების საკითხი.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე_ 9

წინააღმდეგი _ 1(გოგი ბოლქვაძე)

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 10 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2023 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტის მოწონების შესახებ განკარგულების პროექტი და გადაწყვიტა, აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით, გადაეცეს საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შესატანად.

II საკითხი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის ანგარიში, მიმდინარე წლის ივლისის თვეში ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებებისა და მთლიანი სალდოს შესახებ.

<u>მოისმინეს :</u>

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის ანგარიში, მიმდინარე წლის ივლისის თვეში ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებებისა და მთლიანი სალდოს შესახებ.

მომხსენებელი: ზაზა ოსეფაიშვილი

<u>აზრი გამოთქვა:</u> ვლადიმერ სიხარულიძე: წარმოდგენილი ინფორმაციიდან ირკვევა რომ ა(ა) ი.პ „ჩოხატაურის სერვისცენტრისთვის“ გამოყოფილი დასაფინანსებელი თანხის თითქმი 80% გახარჯულია, დასაფინანსებელი ხარჯების ფონზე რას გეგმავს მერია, როგორ მოხდება აღნიშნულის დაბალანსება?

ზაზა ოსეფაიშვილი: ნაწილის დაბალანსება მოხდება შიდა რესურსის საფუძველზე, ნაწილისთვის კი საჭირო გახდება თანხის დამატება.

მამია ბარამიძე: ბახმაროში არსებული სასტუმროები უნდა დარეგისტრირდეს, აქედან ამოღებული ადგილობრივი გადასახადების ხარჯზე მოხდება თანხების გარკვეული ნაწილით ბიუჯეტის დაბალანსება, მიუხედავად ყოველწლიური შეთანხმებისა, აღნიშნული კვლავ მოუწესრიგებელი რჩება.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე_ 10

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 10 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის ანგარიში, მიმდინარე წლის ივლისის თვეში ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებებისა და მთლიანი სალდოს შესახებ და მიიღოს ცნობად.

III საკითხი

ინფორმაცია, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის მიერ მიმდინარე წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

<u>მოისმინეს :</u>

3. ინფორმაცია, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის მიერ მიმდინარე წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: ლევანი ჩხიკვაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> ვლადიმერ სიხაულიძემ აღნიშნა, წარმოდგენილიდან ირკვევა, რომ არის ხარვეზები, საწვავის მიზნობრივ ხარჯვასთან დაკავშირებით ა(ა) ი.პ „ჩოხატაურის სერვისცენტრში“, ასევე პრობლემებია კადრების საკითხთან დაკავშირებით, ასევე წლიური ბიუჯეტის 80 % გახარჯულია. ის დაინტერესდა, რა ღონისძიებები იქნა გატარებული აღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

ლევანი ჩხიკვაძემ: ასევე შესწავლილი იქნა ა(ა) ი.პ „სპორტის განვითარების ცენტრის“ მუშაობა და შესაბამისი დოკუმენტაცია, სადაც ხარვეზები არ არის. რაც შეეხება ა(ა) ი.პ „ჩოხატაურის სერვისცენტრში“ აღმოჩენილ ხარვეზებს, დასკვნის საფუძველზე გაცემულია რეკომენდაცია და სამომავლოდ უნდა იქნას აღმოფხვრილი.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე:

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე_10

წინააღმდეგი _ 0

თავი შეიკავა - 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 10 წევრი)

<u>მიღებულია გადაწყვეტილება :</u>

კომისიამ განიხილა ინფორმაცია, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის მიერ მიმდინარე წელში გაწეული მუშაობის შესახებ და მიიღო ცნობად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

ვლადიმერ სიხარულიძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი